ოქმი:**ო31. 3126303001**

თარიღი:**30/10/2026**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის ლოლიტა ურუშაძის მოსახლეობასთან შეხვედრისა და 2025 წლის 30 ოქტომბრიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის ოქმი.**

**მუნიციპალიტეტის დასახელება:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

**სოფელი, თემი, დაბა:** ქალაქის ადმინისტრაციული ერთეული.

**შეხვედრის ჩატარების თარიღი:** 23.10.2026 წელი 14:30 საათი.

**შეხვედრას ესწრებოდნენ:** საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის ამომრჩევლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ლოლიტა ურუშაძე მიესალმა მოწვეულ სტუმრებს და მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამონახეს დრო მასთან შესახვედრად. ამის შემდეგ, მან აღნიშნა, რომ ის არის ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიების წევრი, აგრეთვე ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე და „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციის გურიის საბჭოს წევრი. აქტიურად არის ჩართული როგორც ფრაქციის ასევე კომისიების საქმიანობაში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი - საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება და წარმოადგინა 2025 წლის 30 ოქტომბრიდან დღემდე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები: სტიქიის შედეგად დაზიანებული დამცავი კედლებისა და ნაპირსამაგრების მოწყობის სამუშაოები, დაზიანებული ხიდებისა და შიდა გზების რეაბილიტაცია, საჯარო სკოლების, სანიაღვრე არხების მოწყობა, სპორტული დარბაზისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ასევე ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩის N126, N130 და N132 შენობების მიმდებარე ტერიტორიების რეაბილიტაცია.

ქალაქ ლანჩხუთში წარმატებით დასრულდა ჭავჭავაძის ქუჩაზე 350-მეტრიანი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია, მიმდინარეობს თავისუფლების ქუჩის სრული მონაკვეთის

რეაბილიტაცია- ეწყობა სანიაღვრე არხები, სავალი ნაწილი და ბორდიურები.

ამავე პროექტის ფარგლებში ადმინისტრაციულ ერთეულებში რეაბილიტირდება:

სოფელ ჩიბათში — ორი უბნის გზა (ასფალტის საფარის დაგებით);

სოფელ გვიმბალაურში — შიდა გზები;

სოფელ ნინოშვილში — შიდა გზები;

ღრმაღელის, ომფარეთისა და წყალწმინდის მიმართულებით არსებული გზები;

ჩოჩხათისა და ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზა.

სოფელ ნიგოითსა და შუხუთში მიმდინარეობს სანიაღვრე არხებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

სოფელ აკეთში სახელმწიფო მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია (ჩოხატაურისა და ოზურგეთის დამაკავშირებელი).

ხელოვნურსაფარიანი მინი-სტადიონები აშენდა მაჩხვარეთის, ჩოჩხათის, ღრმაღელის ქალაქის, ლესის, ნიგოითის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც მუნიციპალიტეტში არსებულ გამოწვევებს სრულად ვერ აღმოფხვრის, თუმცა უკვე მომზადებული ქვთ ახალი ინიციატივები და აგრძელებენ აქტიურ მუშაობას , რათა მოსახლეობას მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და უსაფრთხო გადაადგილების პირობები შეუქმნან.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ტურისტული პოტენციალის გაძლიერების კუთხითაც. სოფელ ჩიბათიდან კოლხეთის ეროვნულ პარკთან მისასვლელ ლოკაციაზე მუნიციპალიტეტმა წლების განმავლობაში არაერთი პროექტი განახორციელა.

2020–2022 წლებში, საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამის ფარგლებში (ევროკავშირის გრანტითა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით), მოეწყო საპიკნიკე და საპარკინგე სივრცეები, სველი წერტილები, ნავმისადგომი, შეძენილ იქნა ელექტრომძრავიანი ნავები.

ფიჩორის ხეობიდან ვიზიტორებს ეძლევათ შესაძლებლობა, გავიდნენ პალიასტომის ტბაზე და დატკბნენ რეგიონის უნიკალური ველური ბუნებით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით. ტერიტორიაზე მოეწყო 9 კილომეტრიანი ელექტრომაგისტრალი, რომლის ქსელში ჩართვის სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს. ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერითა და დაფინანსებით, აღნიშნულ გზაზე დაიგო ასფალტო-ბეტონის საფარი. ეს პროექტი სტრატეგიულია როგორც ტურიზმის განვითარებისთვის, ასევე ადგილობრივების მხარდასაჭერად. ამ მონაკვეთზე მდებარეობს 40-მდე ფერმერული მეურნეობა, რომლებიც მეცხოველეობას, მეფუტკრეობასა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს ეწევიან.

ასევე, აღნიშნა, რომ მოეწყო კიდევ ერთი ტურისტული ადგილი-სოფელ ორაგვეში (მაჩხვარეთის თემი), სადაც ზიპლაინი მოეწყო. ექსტრიმის მოყვარულ ტურისტებს საშუალება ეძლევათ დატკბნენ და ისიამოვნონ ულამაზესი ადგილობრივი ხედით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სოციალური მხარდაჭერა მთავარი პრიორიტეტია. ამ მიმართულებით ბიუჯეტი და პროგრამების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 600 000 ლარი გამოვყავით, რაც მთლიანად 24 მოქმედ პროგრამას ხმარდება. შედარებისთვის, გასულ 2025 წელს მხოლოდ ჯანდაცვის პროგრამებით 800-ზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა, წელს კი ეს მხარდაჭერა კიდევ უფრო მასშტაბურია.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს როგორც წლების განმავლობაში გამოცდილი, ისე სრულიად ახალი ინიციატივები. 2022 წლიდან წარმატებით ხორციელდება ჰემოდიალიზის საჭიროების

მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამა — მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ მკურნალობას სახელმწიფო აფინანსებს, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს პაციენტთა ტრანსპორტირებას ნებისმიერ ქალაქში. გარდა ამისა, რეგიონულ ჯანდაცვის ცენტრში მოეწყო სპეციალური კაბინეტი, შეძენილ იქნა უახლესი აპარატურა და გადამზადდა მედპერსონალი.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ სამედიცინო სერვისებს, რომლებიც საყოველთაო ჯანდაცვაში არ შედის. ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება ქირურგიული ოპერაციები, მაღალტექნოლოგიურ რადიოლოგიურ კვლევებს (მრტ, კტ), ქიმიოთერაპიასა და სხივურ თერაპიის კურსები. ასევე, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, მუნიციპალიტეტი 50%-ით ფარავს ბიოფსიის ხარჯებს.

სოფელ შუხუთში მოქმედებს სკრინინგ-ცენტრი, სადაც სამიზნე ასაკობრივ ჯგუფებს უფასოდ უტარდებათ ძუძუს, პროსტატის, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი და ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევები.

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და შობადობის წახალისების მიზნით, ამოქმედდა ახალი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე ოჯახები ერთჯერადად 1 000 ლარს იღებენ. ამ მხარდაჭერით უკვე ისარგებლა 21-მა ოჯახმა.

ბავშვებსა და ოჯახებზე ზრუნვა ხელისუფლების საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ოჯახის გაძლიერების ორწლიანი პროგრამით, შეჭირვებული ოჯახების ბავშვებისთვის საცხოვრებელი, სამედიცინო თუ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე 7 000 ლარამდე ფინანსური დახმარებაა გამოყოფილი.

იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც ესაჭიროება მაგნიტური ქვიშით რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტი სრულად აფინანსებს ურეკში ორკვირიან სარეაბილიტაციო კურსს ერთ-ერთ მშობელთან ერთად. დაფინანსება მოიცავს ტრანსპორტირების, სასტუმროსა და კვების ხარჯებს.

უფასო კვების პროგრამის ფარგლებში მარტოხელა მოქალაქეებსა და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს საცხოვრებელი ადგილმდებარეობის მიუხედავად პირველადი მოხმარების სურსათ-სანოვაგე პირდაპირ სახლში მიეწოდებათ.

წარმატებით ფუნქციონირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და დაუნის სინდრომის მქონე ბენეფიციართა მხარდამჭერი პროგრამები. გარდა ამისა, ხორციელდება ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება. ასევე, სტიქიით დაზარალებულ პირთა დახმარების ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები აქტიურად განაგრძობენ მუშაობას ახალ პროექტებზე, რათა ჯანდაცვისა და სოციალური სერვისები კიდევ უფრო ეფექტური და ხელმისაწვდომი გახდეს თითოეული ლანჩხუთელისთვის.

მოქალაქე ნუნუ სიხარულიძემ აღნიშნა, რომ ქალაქში აუცილებლად გასაკეთებელია ცენტრალური კანალიზაცია.

მოქალაქე ნანა ორაგველიძემ აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრალურ სკვერში მიზანმიმართულად აზიანებენ ბავშვთა გასართობ ანტრაქციონებს და საჭიროა ყურადღების მიქცევა.

მოქალაქე ნინო ტორონჯაძემ ითხოვა ლაშის ღელის კალაპოტის გაწმენდა და ურუშაძის ქუჩის ჩიხებში ასფალტის საფარის დაგება.

პატივისცემით,

ლოლიტა ურუშაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი